

პროგრამის შინაარსი

იმპროვიზაციული სავარჯიშოები:

- მუსიკალური ენის ელემენტების, საკრავების გამოყენებით;
- ბგერა, ხმოვანების სიმლიერე, რიტმი (ოსტინატო), ტემპი, მეტრი, რეგისტრი (მაღალი – საშუალო - დაბალი), ტემბრი (ინსტრუმენტული, ვოკალური), კილო (მაჟორი, მინორი), ინტერვალები კვინტის ფარგლებში, კეთილხმოვანი, არაკეთილხმოვანი ჟღერადობა, თანხმოვანება.

სიმღერა:

- თანხლებით და მის გარეშე;
- ინდივიდუალურად და გუნდურად;
- ერთხმიანი და მარტივი ორხმიანი სიმღერები საბავშვო, ხალხური რეპერტუარიდან, მელოდიები პოპულარული ნაწარმოებებიდან, მაგალითად, "თებრონე მიდის წყალზედა", "მორბის არაგვი", "ნანა", "გოგოვ, გოგოვ, შავთვალა"; ა. კერესელიძე – "წვიმა"; ი. გურგულია – "იავნანა"; გ. ცაბაძე – "ოცდახუთსა დეკემბერსა"; ს. ცინცაძე – "სიმღერა შავ კატაზე"; ვ. კახიძე – "ანო და ვანო"; მ. აროშიძე – "თუ, თუ, თუ"; გ. გორდუზიანი - "რა დილა თენდება"; ლ. ბეთჰოვენი - "ოდა სიხარულს" მე-9 სიმფონიის ფინალის თემა; ვ. შაინსკი - "Песенка крокодила Гены"; ჯ. ლენონი, პ. მაკარტნი - "Ob-La-Di, Ob-La-Da"; მ. გორდონი-ჰ. ვორენი – "Chattanooga Choo-Choo" და სხვ.

განწყობილების გადმოცემა:

- პანტომიმა;
- კომპოზიცია (სცენების გათამაშება).

სანოტო დამწერლობა:

- ნოტების ამოცნობა და ჩაწერა ხუთხაზიან სანოტო სისტემაზე, ვიოლინოს გასაღებში;
- მთელი, ნახევარი, მეოთხედი, მერვედი გრძლიობის ნოტების და პაუზების წაკითხვა და ჩაწერა, მარტივი რიტმული ნახაზის გამოხატვა ტაშით.

მუსიკალური ტერმინები:

- მელოდია, რიტმი, გრძლიობა, პაუზა, რიტმი, ტემპი, ტემბრი, კილო (მაჟორი, მინორი), ტონიკა;
- ტემპები: Allegro - ჩქარა, Adagio - ნელა, Presto - ძალიან ჩქარა, Moderato – ზომიერად;

- დინამიური ნიუანსები: Mezzo Forte, Mezzo Piano;
- შესრულების ხერხები: სტაკატო, ლეგატო;
- კომპოზიტორი, ფოლკლორი, პიესა, კონცერტი, რეპეტიცია, ორკესტრი, დირიჟორი, სოლისტი, აკომპანემენტი, ბალეტი, ოპერა, თეატრალური/საოპერო/საბალეტო დასი, მოქმედება/აქტი, ანტრაქტი, არია, არიოზო, ანსამბლი, დუეტი, ტრიო. კვარტეტი;
- ნასწავლი საკრავების სახელწოდებები.

მუშაობის ფორმები:

- ინდივიდუალური, წყვილში, ჯგუფური.

ღონისძიებები:

- სკოლის საანგარიშო კონცერტი;
- კლასის კონცერტი;
- ვიქტორინა.

მუსიკალური ნაწარმოების აღქმა კონტექსტში:

- ინფორმაცია: შექმნის ისტორია, სიუჟეტი, ავტორი;
- განწყობილების ამოცნობა, საუბარი შთაბეჭდილებებზე;
- მუსიკოსთა სპეციალობების გაცნობა: კომპოზიტორი, მომღერალი, დირიჟორი, პიანისტი, მევიოლინე, ვიოლონჩელისტი, ალტისტი და მათი კონკრეტულ ადამიანებთან დაკავშირება.

საკრავები:

- ამოცნობა ფორმით და ჟღერადობით;
- ხალხური და კლასიკური ინსტრუმენტები, მაგალითად, ჭიანური, ქნარი, დუდუკი, კლარნეტი, ფაგოტი, ვალტორნა, კლავესინი.

სარეკომენდაციო მოსასმენი მასალა:

- ხალხური სიმღერები; ფრაგმენტები ბაროკოს, კლასიციზმის, რომანტიზმის ეპოქის, XX საუკუნის მუსიკალური ხელოვნების ნიმუშებიდან, ნიმუშებიდან, ქართველ კომპოზიტორთა პოპულარული ნაწარმოებებიდან, მაგალითად, "იმერული მგზავრული", "არამი დო შარიქა", მეგრული "ალილო", "ასლანური მრავალჟამიერი", დასაკრავი ფანდურზე; საგალობელი "ჯვარსა შენსა", ო. დი კაპუა - ნეაპოლური სიმღერა "O Sole mio", სომხური საცეკვაო "ბახტავარი"; ზ. ფალიაშვილი - ფრაგმენტები

ოპერიდან "დაისი"; მ. ბალანჩივაძე - მასხარას კუპლეტები ოპერიდან "დარეჯან ცბიერი"; ო. თაქთაქიშვილი - "იუმორესკა" კამერული ორკესტრისთვის; ნ. გაბუნია - პიესები საფორტეპიანო ციკლიდან "მოწაფის დღიური", დ. ტურიაშვილი - მიუზიკლი "პეპი გრძელი წინდა"; ფ. კუპერენი - "ტამბურინი"/"ჭიკჭიკი"/"ჭორიკანა"; ი. ჰაიდნი - სიმფონია #103, I ნაწილი, ვ. ა. მოცარტი - "თურქული მარში", საფორტეპიანო სონატიდან #11, III ნაწილი; ლ. ბეთჰოვენი - უვერტიურა ი. ვ. გოეთეს დრამისათვის "ეგმონტი"; ფ. შუბერტი - "სერენადა"; ფ. შოპენი - პოლონეზი #3, ლა მაჟორი; პ. ჩაიკოვსკი - ფრაგმენტები ბალეტიდან "მაკნატუნა"; ს. პროკოფიევი - "გავოტი", თხზ. 25; გ. მილერი - ფრაგმენტები მიუზიკლიდან "მზიური ველის სერენადა" და სხვ.